ს(ს)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0 350 27 24 01

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, IV სართული, დეკანატი–ოთახი №71
ტელ: 0 350 27 33 20; E-mail: ntrl.sciences@tesau.edu.ge

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მეტეოროლოგია , კლიმატოლოგია (Meteorology,Climatology) |
| აკადემიური განათლების საფეხური | დოქტორანტურა (III საფეხური) |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | აკადემიური |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | გეოგრაფიის დოქტორი (Doctor of Geography) |
| სწავლის ხანგრძლივობა | სამი აკადემიური წელი (6 სემესტრი) |
| ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა | 180 კრედიტი (ECTS) |
| პროგრამის ხელმძღვანელი | ელიზბარ ელიზბარაშვილი - პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი<br><br>☎ +995 599 73 58 86. E-mail: eelizbar@hotmail.com |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | პროგრამის მიზანია მომზადდეს ახალი თაობის მეცნიერი-კლიმატოლოგი, მაღალკვალიფიციური მკვლევარი, კლიმატური რესურსების და კლიმატის ცვლილების კვლევის სფეროში, რომელსაც შეეძლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანი იყოს ქვეყნის და რეგიონის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული და გეოეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად. პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტს გამოუმუშაოს კრიტიკული აზროვნების და სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობის უნარი, ხელი შეუწყოს მიღებული ცოდნის ეფექტურ გამოყენებას, ჩამოუყალიბოს მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის და კლიმატის ცვლილების დარგში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და თანამედროვე დონეზე განხორციელების უნარი. პროგრამა შედგენილია ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად. |
| პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები | ცოდნა და გაცნობიერება \| დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების \| -გააჩნია მეტეოროლოგიის და კლიმატოლოგიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს კლიმატური რესურსების შეფასების |

| | | |
|---|---|---|
| | გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება. | პრინციპებს, კლიმატის ფორმირების და ცვლილების მიზეზებს და შედეგებს;<br><br>-შეძენილი ცოდნის გაფართოების და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით წყვეტს უმნიშვნელოვანეს გეოგრაფიულ და გეოეკოლოგიურ პრობლემებს, გეგმავს ექსპერიმენტებს, იცნობს თანამედროვე საველე მეთოდებს, თანამედროვე სტანდარტების დონეზე ამზადებს სტატიებს მაღალრეიტინგული ჟურნალებისთვის;<br><br>აცნობიერებს მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, კლიმატური რესურსების და კლიმატის ცვლილების პრობლემებს გლობალური და რეგიონალური მასშტაბით, რაც ახალი ინოვაციური იდეების გამოყენებით არსებული ცოდნის გაფართოვების საშუალებას იძლევა. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და | შეუძლია :<br><br>-მეტეოროლოგიის და კლიმატოლოგიის დარგში თანამედროვე დონეზე ინოვაციური კვლევის დაგეგმვა და შესრულება, საველე და |

| | | |
|---|---|---|
| | მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. | ლაბორატორიული სამუშაოების დაგეგმვა, მეტეოროლოგიური და მიკროკლიმატური დაკვირვებების ჩატარება, ანალიტიკური და მეთოდოლოგიური სამუშაოების განხორციელება, ზედამხედველობა, ახალი კვლევის მეთოდების შემუშავება;<br><br>-მონაცემთა ბაზების შექმნა და გაანალიზება კლიმატური რესურსების და რეგიონალური კლიმატის ცვლილებების შეფასების გზით, ახალი ცოდნის შექმნა და ამ ცოდნაზე დაფუძვნებით სამეცნიერო სტატიების მომზადება საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად;<br><br>-კრიტიკულად გაანალიზოს არსებული თეორიული დებულებები მეტეოროლოგიასა და კლიმატის ცვლილების სფეროებში, შეიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები ან შექმნას ახალი თეორია. |
| დასკვნის უნარი | ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, | -დამოუკიდებლად შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურისა და მიღებული შედეგების |

| | | |
|---|---|---|
| | სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. | კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, სათანადო დასკვნების გამოტანა, მიღებული შედეგების დასაბუთება და დაცვა, მათი განზოგადოება, ახალი გეოგრაფიული კანონზომიერებების გამოვლენა, უმნიშვნელოვანესი დასკვნების გაკეთება, პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. |
| კომუნიკაციის უნარი | ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე. | შეუძლია:<br><br>-პროფესიულ დონეზე ახალი გეოგრაფიული ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, დისკუსიებში ჩართვა, კონფერენციებზე გამოსვლა, ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან დარგის ახალ მიღწევებზე პოლემიკის წარმატებით წარმართვა;<br><br>-საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, თემატურ დისკუსიებში ჩართვა, როგორც მშობლიურ, ისე უცხოურ ენებზე; |

| | | |
|---|---|---|
| | | -თავისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მოახმაროს მომავალი თაობის აღზრდას. |
| სწავლის უნარი | უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში. | შეუძლია:<br>-თანამედროვე დონეზე აამაღლოს დარგი, კრიტიკულად გააანალიზოს არსებული თეორიული დებულებები მეტეოროლოგიასა და კლიმატის ცვლილების სფეროებში, შეიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები ან შექმნას ახალი თეორია.<br>-კლიმატოლოგიის და კლიმატის ცვლილების სფეროებში საჭირო ლიტერატურის მოძიება, თანამედროვე ლიტერატურიდან მისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა;<br>-დარგში საკუთარი და სხვების მუშაობის შედეგების შეფასება და თვითშეფასება, ანალიზი და გაუმჯობესების გზების დაგეგმვა;<br><br>-უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე აქტუალური ამოცანების დასმა და განხორციელება სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის |

| | | |
|---|---|---|
| | | პროცესში. |
| ღირებულებები | ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. | -შეუძლია მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის და კლიმატის ცვლილების დარგებში ღირებულებათა დასამკვიდრებლად გზები ეძიოს ახალი მიდგომების და მეთოდების შესამუშავებლად, კვლევების დაგეგმვასა და ჩასატარებლად.<br>- შეუძლია დარგში არსებული ურთიერთობების განხილვა, გააზრება და ქმედების წარმართვა, ინოვაციური მეთოდების შემუშავება;<br>-კარგად აცნობიერებს და იცავს მეცნიერული ეთიკის პრინციპებს. |

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა**

სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულიანი სისტემით.
შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი

| | |
|---|---|
| | ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.<br>სტუდენტების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც თეორიული საკითხების ცოდნა, ასევე პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა.<br>სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:<br>შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;<br>დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.<br>შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:<br>1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);<br>2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);<br>3) მაქსიმუმ 10 ქულა.<br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.<br>შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით. პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, ზემოთ მოყვანილი შეფასების სისტემის მეშვეობით და რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებით. |

| | |
|---|---|
| **დასაქმების სფერო** | დოქტორის აკადემიური ხარისხი ასოცირდება აკადემიურ ან კვლევით საქმიანობასთან. მეტეოროლოგია, კლიმატოლოგიის სპეციალობით დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეუძლია შრომითი საქმიანობის დაწყება საგანმანათლებლო, სამეცნიერო - კვლევით ორგანიზაციებში, ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც გეოეკოლოგს, კლიმატოლოგს და კლიმატის ცვლილების სპეციალისტს საჭიროებს. |